

ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი

III თავი

სწავლის საფასურის გადახდა - ადმინისტრაციული რეგისტრაცია

(განახლებული რედაქცია - ნოემბერი, 2023 წ.)

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან (ადმინისტრაციულ რეგისტრაციასთან) დაკავშირებული რეგულაცია მოცემულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სწავლის საფასურის გადახდის წესში“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 3).

ბსუ-ს სტუდენტი ვალდებულია ყოველ სასწავლო სემესტრში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის წლიური საფასურის ნახევარი (გარდა იმ სტუდენტისა, რომელმაც მოიპოვა 100%-იანი სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი ან პროგრამული დაფინანსება ან სოციალური დახმარება/გრანტი)

„სწავლის საფასურის გადახდის წესის“ თანახმად, შესაბამისი სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის გათვალისწინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სემესტრული სწავლის საფასურის გადახდის ვადები (მათ შორის ნაწილ-ნაწილ, ეტაპებად გადახდის შესაძლებლობა და ყოველ ეტაპზე გადასახდელი ოდენობა).

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N36 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 29) მიხედვით, ბსუ-ში საქართველოს მოქალაქეებისთვის საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის წლიური საფასური შეადგენს 2250 ლარს (აკადემიურ წელში ასათვისებელი 60 კრედიტის საფასური), ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3000 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის სწავლის წლიური საფასური საბაკალავრო, ერთსაფეხურიან და სამაგისტრო პროგრამებზე (ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული პირებისთვის) შეადგენს 2250 აშშ დოლარს, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3000 აშშ დოლარს.

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის სხვა ოდენობა შეიძლება განისაზღვროს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამით ან/და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

ბსუ-ში უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის ჩარიცხვის (სტუდენტის სტატუსის მოპოვების) შემდეგ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, სწავლის წლიური საფასური სტუდენტს განესაზღვრება შესაბამის პროგრამაზე საქართველოს მოქალაქისათვის განსაზღვრული ოდენობით, შემდეგნაირად:

ა) მიმდინარე სემესტრიდან - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 ნოემბრამდე და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 აპრილამდე და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;

ბ) მომდევნო სემესტრიდან - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 ნოემბრიდან და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 აპრილიდან და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

სამართლებრივი აქტები აკადემიურ და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების, ასევე სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის შესახებ, ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.bsu@edu.ge (ველში - „სწავლა“, „აკადემიური კალენდარი“).

აკადემიური ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ რექტორის ბრძანება, ასევე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის ბრძანება ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე www.bsu@edu.ge (ველში - რექტორის ბრძანებები), ასევე სტუდენტთა ინფორმირების მიზნით ვრცელდება ბსუ-ს პორტალის მეშვეობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით ან/და ინდივიდუალურად ეცნობება შესაბამის სტუდენტს.

შენიშვნა:

2023-2024 სასწავლო წლისათვის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები დადგენილია შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

1. „ 2023 -2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს N01-02/153 ბრძანება;
2. „ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის N01-02/182 ბრძანება;